საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 149

05 10 2015 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 10 სექტემბრის N03/3329 წერილის განხილვის შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ოქტომბრის სხდომის N16 ოქმის მე-6 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 10 სექტემბრის N03/3329 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის კ) ქვეპუნქტის საფუძველზემარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, უზრუნველყოს საგზაო ნიშნების განთავსება ქალაქ მარნეულში, შემდეგ ადგილებზე:

- ქალაქი მარნეული, რუსთაველის ქუჩა N24-ს მიმდებარე ტერიტორიაზე, რუსთაველის ქუჩისა და ალ.პუშკინის ქუჩის კვეთაზე, რუსთაველის ქუჩის და კ.გამსახურდიას ქუჩის კვეთაზე, რუსთაველის ქუჩისა და ქ.ჩოლოყაშვილის ქუჩის კვეთაზე, რუსთაველის ქუჩის და გიორგაძის ქუჩის კვეთაზე, რუსთაველის ქუჩის და ე.თაყაიშვილის ქუჩის კვეთაზე, რუსთაველის ქუჩის და ა.გასანოვის ქუჩის კვეთაზე, რუსთაველის ქუჩის და ხ. ბორჩალოელის ქუჩის კვეთაზე, რუსთაველის ქუჩის და ერეკლე II-ს ქუჩის კვეთაზე, რუსთაველის ქუჩის და რუსთაველის N6 ჩიხის კვეთაზე, რუსთაველის ქუჩის და ხალილოვის ქუჩის კვეთაზე, ნ.ჟორდანიას ქუჩის და კ.გამსახურდიას ქუჩის კვეთაზე, ნ.ჟორდანიას ქუჩის და ა.წერეთლის ქუჩის კვეთაზე, ნ.ჟორდანიას ქუჩის და ს.ვურღუნის ქუჩის კვეთაზე სატრანსპორტო საშუალებებისათვის დაიდგას N2.4 პრიორიტეტის ,,დაუთმე გზა” საგზაო ნიშანი. ასევე რუსთაველის ქუჩის დასაწყისში 26 მაისის სახელობის მოედნიდან და ასევე რუსთაველის ქუჩის დასაწყისში ნარიმანოვის ქუჩის კვეთასთან (სარვანის წრე) სატრანსპორტო საშუალებებისათვის დაიდგას პრიორიტეტის საგზაო ნიშანი N2.1 ,,მთავარი გზა“. ასევე რუსთაველის ქუჩისა და ალ.პუშკინის ქუჩის კვეთაზე (ხიდის გამოსასვლელთან) სატრანსპორტო საშუალებებისათვის დაიდგას საგზაო ნიშანი ,,მოძრაობა მარჯვნივ“.
- რუსთაველის ქუჩის N24-თან სატრანსპორტო საშუალებებისათვის დაიდგას ამკრძალავი საგზაო ნიშანი N3.27 ,,გაჩერება აკრძალულია“ და რუსთაველის ქუჩა N60ა-სთან დაიდგას ამკრძალავი საგზაო ნიშანი N3.28 ,,დგომა აკრძალულია“. ასევე ნოე ჟორდანიას ქუჩაზე სამედ ვურღუნის წრის მიმართულებით დაიდგას საგზაო ნიშანი N4.3 ,,წრიული მოძრაობა“. ასევე სოფელ წერეთლის გამოსასვლელიდან სამედ ვურღუნის წრის მიმართულებით დაიდგას საგზაო

383130 ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73 ☎ 22 53 07 // 22 26 26 RUSTAVELI str MARNEULI

ნიშანი ,,წრიული მოძრაობა“; 26 მაისის სახელობის მოედანზე (ე/წ სამხედრო დასახლება N1-დან) გამოსასვლელთან დაიდგას საგზაო ნიშანი N2.4 ,,დაუთმე გზა“ და საგზაო ნიშანი N4.1.2 მოძრაობა მარჯვნივ“. ასევე სამხედრო ქალაქის შესასვლელთან სავაჭრო ცენტრ ,,ემბავუდის“ მიმდებარედ განთავსდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი ,,დგომა აკრძალულია“.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს ზაურ ტაბატაძეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ნაბი აბდულაევი